არაოფიციალური თარგმანი

გერმანიისა და საფრანგეთის ფინანსური თანამშრომლობა საქართველოსთან

განზრახულობათა დეკლარაცია

საქართველოს მთავრობას, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (GoG) მიერ

და

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა, მაინის ფრანკფურტი (KfW)

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს, პარიზი (AFD)

შორის

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერა

პროექტი: 39885

1. **შესავალი**

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები (GoG), გერმანიის განვითარების ბანკი KfW და საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) შეიკრიბნენ თბილისში, საქართველოში 2018 წლის 5 დან 8 თებერვლის ჩათვლით, რათა განეხილათ შესაძლო მხარდაჭერა GoG-ს ამბიციური რეფორმისა ენერგეტიკის სფეროში. ინიციატივა დაწყებულ იქნა 2017 წლის დასაწყისში, როცა GoG-მ თხოვნით მიმართა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) განეხილა შესაძლებლობა პოლიტიკაზე დაფუძნებელი სესხის (PBL) ოპერაციასთან დაკავშირებით, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოს რეფორმების პროცესს სტრატეგიული ჩარჩოშეთანხმების ფარგლებში როგორც ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების (EnC) სრულ წევრს და ევროკავშირის ასოციაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ განზრახულობათა დეკლარაცია არ არის განსაზღვრული როგორც ხელშეკრულება, რომელიც მხარეების მხრიდან მიზნად ისახავს იურიდიული ვალდებულებების წარმოშობას.

2018-2021 წლის გეგმა და შესაბამისი პოლიტიკის მატრიცა 2018 (იხილეთ დანართი 2 და 3) ერთობრივად შემუშავდა ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამისი ხაზის სამინისტროების მიერ (ენერგეტიკის სამინისტრო 2017 წლის ბოლოსთვის შეუერთდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს). რეფორმის პროგრამის შემუშავების პროცესის ადრეულ ეტაპებზე ჩართული იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით ენერგეტიკული თანამეგობრობა და ევროკავშირი ენერგიისთვის თბილისის რეგიონალური ოფისი.

ევროკავშირის დელეგაციასთან და საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა და შედეგად მოიტანა AFD-სა და KfW-ს შორის პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის ოპერაციაზე მჭიდრო თანამშრომლობის გათვალისწინება და ევროკავშირის დელეგაციის მზადყოფნა ტექნიკური დახმარებით დაუჭიროს მხარი სექტორის რეფორმის პროცესს.

შემოთავაზებული პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის სტრუქტურა აღნიშნულია გეგმაში 2018-დან 2021 წლის ჩათვლით, დაზუსტებულია პოლიტიკის მატრიცაში და გაშლილია მრავალწლიანი პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის მიდგომის გათვალისწინებით. პოლიტიკის მატრიცა გადაიხედება და განახლდება ყოველწლიურად საჭიროებიდან გამომდინარე. გზამკვლევის განახლება მოხდება ხელმომწერი მხარეების მოთხოვნის შესაბამისად, როგორც და როცა მიიჩნევენ ხელმომწერი მხარეები, როგორც არჩევანის საშუალებას. როგორც შეთანხმებულია ეს იქნება სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულება როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-3 ნაწილში რათა მოხდეს გზამკვლევში საჭირო ცვლილებების შეტანა.

KfW ხაზს უსვამს, რომ ყველა პირობა, თანხებთან დაკავშირებული ვალდებილების ჩათვლით, გაიცემა მკაცრად ინდიკატიურ საფუძველზე და დამოკიდებულია სათანადო მზრუნველობის შედეგებზე („**სათანადო მზრუნველობა**") და KfW-ს მენეჯმენტისა და გერმანიის მთავრობის თანხმობაზე. სათანადო მზრუნველობა მოიცავს მსესხებლის ფინანსური სიტუაციის, გზამკვლევის შესრულების მოსალოდნელობის და ოპერაციული კონცეპტის ანალიზს.

AFD-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ ამ განზრახულობათა დეკლარაციაში არაფერი არ წარმოადგენს AFD-ს მხრიდან საქართველოს მთავრობისთვის დაფინანსების შემოთავაზებას ან დაფინანსებაზე ვალდებულების დადებას. AFD-ს გადაწყვეტილება გახადოს დაფინანსება ხელმისაწვდომი დამოკიდებული იქნება, სხვასთან ერთად, (i) აღნიშნული პროგრამის სათანადო მზრუნველობის პროცესის დადებით დასკვნებზე, განსაკუთრებით კლიმატზე ზეგავლენის თვალსაზრისით, (ii) დაფინანსების პირობებზე დამაკმაყოფილებელ შეთანხმებაზე (iii) AFD-ის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დამტკიცებაზე, (iv) მსესხებლის ფინანსურ სიტუაციაში და/ან ბაზრის პირობებში მატერიალური უარყოფითი ცვლილების არარსებობა და (v) მოლაპარაკებების და ყველა შესაბამისი დოკუმენტების შესრულებაზე AFD-ისთვის დანაკმაყოფილებლად. ციფრები და თანხები მხოლოდ ცნობისთვისაა მინიშნებული და მომავალში შეიძლება შეიცვალოს.

KfW-ს ასევე სურს ხაზი გაუსვას, რომ პროექტისთვის ყველა ნივთი, რომელიც ექვემდებარება KfW-ის დაფინანსებას შესყიდული უნდა იყოს KfW-ის საქონლის, შრომის და მომსახურების შესყიდვის რეკომენდაციების მიხედვით და ასევე კონსულტანტების დანიშვნის რეკომენდაციების მიხედვით (სადაც რელევანტურია). რაც გულისხმობს რომ KfW-ს მხრიდან შესყიდვის საფეხურების თაობაზე წინააღმდეგობის არ არსებობას.

AFD-ის ასევე სურს ხაზი გაუსვას იმას, რომ პროექტისთვის ნებისმიერი ნივთი, რომელიც ექვემდებარება AFD-ის დაფინანსებას შესყიდული უნდა იყოს AFD-ის შესყიდვების წესების შესაბამისად.

2. შემდგომი ნაბიჯები და ვადები

საქართველოს მთავრობა, KfW და AFD განახორციელებს შემდგომ ნაბიკებს სათანადო მზრუნველობისთვის.

ეს მოიცავს:

№	ვინ	ქმედება	სავარაუდო ვადები
	MOF	საქართველო, რომელიც წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს სახელით და KfW, რომელიც წარმოდგენილია გერმანიის მთავრობის სახელით, ხელს აწერს დაფინანსების ხელშეკრულებას გრანტის სახით, რომელსაც უზრუნველოფს გერმანიის მთავრობა პროექტის განვითარებისთვის კონსულტანტის დასაფინანსებლად.	აპრილი 2018
	KfW	KfW შიდა შეფასება და წინადადების წარდგენა გერმანიის ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების სამინისტროსთვის	მარტი 2018
	KfW	პროექტის განვითარების კონსულტანტთან ხელშეკრულების გაფორმება.	აპრილი 2018
	AFD	2018-2019 წლისთვის გათვალისწინებული ასოცირებული ტექნიკური ზომების ნაწილის შესასრულებლად კონსულტანთან ხელშეკრულების გაფორმება	მაისი 2018
	KfW	KfW-ის შიდა სესხის დამტკიცება	მაისი 2018
	AFD	AFD -ის შიდა სესხის დამტკიცება	ივლისი 2018
	KfW - AFD	2018 წლისთვის შესაბამისი ღონისძიებების შესრულების შეფასება	აგვისტო 2018
	KfW – AFD - MOF	პირველი სასესხო ხელშეკრულების გაფორმება (პოზიტიური შეფასების შემთხვევაში) KfW-სა და საქართველოს შორის, რომელსაც წარმოადგენს ფინანსთა	სექტემბერი 2018

		სამინისტრო და აგრეთვე AFD-სა და საქართველოს შორის, რომელსაც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტრო	
	KfW- AFD - MOF	პირველი სასესხო ხელშეკრულებიდან თანხების ჩამორიცხვა (საქართველოს პარლამენტის მიერ სასესხო ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ)	დეკემბერი 2018

3. გათვალისწინებული თანამშრომლობის სტრუქტურა და მიზანშეწონილობა

პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ევროკავშირის EnC შეთანხმების და ევროკავშირის ასოციაციის შესახებ შეთანხმების განხორციელებას, ტრანსსაზღვაო ელექტროენერგიის ვაჭრობით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სათბურის გაზის ემისიების შემცირებას ელექტორენერგიის მოხმარების ენერგოეფექტურობის ზრდის საშუალებით, ელექტროენერგიის ექსპორტის დამატებითი შესაძლებლობის შექმნა საშინაო მოხმარების შემცირებით ენერგოეფექტურობის ზომების შედეგად (განსაკუთრებით ელექტროენერგიის გადამცემებსა და შენობებში) და მომავალი პოტენციალისთვის კვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა, მაგალითად მომავალზე ორიენტირებულ მშენებლობის სექტორში, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს მშენებლობაში.

აქედან გამომდინარე, GoG, KfW და AFD თანხმდებიან შემდეგი საკითხების გაგებაზე:

<u>PBL-ს მიზანი:</u>

- <u>PBL-ს</u> მიზნებია:

(1) ევროკავშირის EnC შეთანხმების გათვალისწინებით რეგიონალური ბაზრის ინტეგრაცია საქართველოს, როგორც რეგიონალური ენერგეტიკული ცენტრის პოზიციების გასაუმჯობესებლად და საქართველოს გადამცემის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო დონორების თანამეგობრობით და ახლო ურთიერთკავშირშია მდგრადი ბაზრის განვითარებასთან,

(2) ენერგოეფექტურობა (განსაკუთრებით შენობებში), ეროვნული ენერფოექტურობის გზამკვლევის და შესაბამისი ენერგოეფექტურობის სტანდარტების განმარტების და განხორციელების გათვალისწინებით (NEEAP, 2017), ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების ქვეშ საქართველოს ვალდებულებების შემდგომი განვითარება.

<u>PBL-ს სტრუქტურა:</u>

- გათვალისწინებული 4 წლიანი სტრატეგია აღწერილია გზამკვლევში (დანართი 3) და დაკონკრეტებულია პოლიტიკის მატრიცაში (დანართი 2). მატრიცა მოიცავს შესაბამის სფეროში საჭირო პროგრესის მკაფიოდ განსაზღვრულ მაჩვენებლებს (ჭკვიანი მაჩვენებლები, იხილეთ დანართი 1).
- პოლიტიკის მატრიცა შეთანხმებულია საქართველოს მთავრობას, KfW-ს და AFD-ს შორის სხვა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად (სახელდბრ კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომპანია, GSE, ESCO და სხვა) და სექტორის შესაბამის დონორებთან გასაუბრების შემდგომ.

<u>სამეთვალყურეო ორგანო და კოორდინაცია</u>

- GoG, KfW და AFD-ს თანხდებიან იმაზე, რომ გზამკვლევში აღწერილი მიზნებისთვის საჭირო მხარდაჭერა გულისხმობს მაღალი დონის კოორდინაციას GoG-ში, GoG-სა და დონორების თანამეგობრობას და ასევე სხვადასხვა დონორებს შორის ენერგო სექტორის რეფორმის მათი სხვადასხვა პროგრამების ენერგოეფექტურობის თაობაზე. შესაბამისად, შეიქმნება ეფექტური სამეთვალყურეო ორგანო. როგორც მომდევნო ნაბიჯი შეთანხმებული იქნება ამ სტრუქტურის შემადგენლობა, რომ სექტორში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საკმარისი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. PBL-სთვის დანიშნული სამეთვალყურეო ორგანო (სამეთვალყურეო კომიტეტი) აპირებს წარმართოს GoG-ს ინიციატივა სექტორში დონორების უფრო ღრმა კოორდინაციისთვის.
- პოლიტიკის მატრიცა უწყვეტად განახლდება 2018 წლის მესამე კვარტალის შემდგომი ფაზების გზამკვლევის გათვალისწინებით, პირველი ფაზის მიღწევების ხაზგასმით.

<u>ფაზების დადგენა, ჩამორიცხვა და შედეგების შეფასება</u>

- PBL-დან სესხის ჩამორიცხვა დაკავშირებულია მაჩვენებლების დადებით შეფასებასთან, რომელიც პოლიტიკის მატრიცაში განმარტებულია (მაჩვენებლები) როგორც ინდივიდუალური ქვესექტორების შესაბამისი სამოქმედო სფეროს რეფორმების განხორციელების ნაწილი (დანართი 1).
- PBL-ს პირველი ფაზის დასაწყისი დაგეგმილია 2018 წელს, რომ შეთანხმებული ვალდებულებების დამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს პირველი ტრანშის დროული ჩამორიცხვა და გათვალისწინებული იყოს 2018 წლის ბიუჯეტში. შემდგომი ფაზები ყოველწლიური შეფასებით გათვალისწინებულია 2019-2021 წლებისთვის.

<u>ხილვადობა</u>

- სათანადოდ ამბიციური პოლიტიკის მატრიცა შესაბამის დაფინანსების მოცულობასთან უზრუნველყოფს სექტორში პარტნიორებისთვის (GoG, KfW (BMZ), AFD და პოტენციურად ევროკავშირი) პროგრამის ხილვადობას.

მსესხებელი იქნება საქართველო, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში შეთანხმებული რეფორმის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი იმპულსი სექტორში ყოვლისმომცმელი რეფორმის სტრუქტურის შედგენისა და განხორციელებისთვის და მის დანერგვას პოლიტიკური რეფორმის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შეთანხმების მიღწევა მთლიანი თანხის მოცულობაზე ოთხივე ფაზის გაერთიანების უზრუნველსაყოფად, რადგან შემდგომი ფაზები შეიძლება დაიწყოს მხოლოდ წინამდებარე ფაზების წარმატებით დასრულებისას და განსაზღვრული გადახდების ინდიკატორის მიღწევისას.

PBL-სთვის 74 მილიონი ევროს სასესხო ვალდებულება გაგრძელდება მინიმუმ 2018-2021 წლებში პოტენციური გაგრძელებით (საერთო სესხი: 296 მილიონი ევრო), KfW-ს და AFD-ს ყოველწლიური დამტკიცების საფუძველზე. განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში. KfW და AFD თანხმდებიან ორი ერთთან პროპორციით (KfW მთლიანი ოდენობის დაახლოებით ორი მესამედი, AFD

მთლიანი ოდენობის ერთი მესამედი). ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფონდები ხელს შეუწყობს პოლიტიკაზე დაფუძნებულ სესხს.

საბოლოო დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

ყველა მხარე ელოდება წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოს ენერგოსექტორში წარმატებული რეფორმის განხორციელების მიზნით.

თბილისი, 14 მაისი, 2018

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის

.....

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

KfW-სთვის:

.....

პროფესორი კლაუს ვეიგელი

KfW-ს თბილისის ოფისის დირექტორი

.....

ჰანს რიეკ

KfW პროექტების უფროსი მენეჯერი

AFD-სთვის:

.....

გაელ ასსაიაგ

AFD წარმომადგენლობითი ოფისის დირექტორი

სამხრეთ კავკასიაში

<u>დანართები:</u>

დანართი 1: მონიტორინგის სქემა

დანართი 2: ღონისძიებების მატრიცა 2018

დანართი 3: გზამკვლევი 2018-2021